



მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ``psp აფთიაქს`` შორის
ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ.ახალციხე

``—12—`` ``—02—`` 2015 წ.

ერთის მხრივ, სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ``უნივერსიტეტი``) წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, ``psp აფთიაქი`` (შემდგომში - ``აფთიაქი``) წარმოდგენილი დირექტორის კახაბერ ფანჩულიძის სახით, პროფესიული პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფის, ასევე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გაანალიზებისა და განზოგადების მიზნით, დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდგომ:

1. განავითარონ ურთიერთხელსაყრელი და გრძელვადიანი თანამშრომლობა სტუდენტების ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების ათვისების დარგში, რისთვისაც უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამის ``ფარმაცევტის თანაშემწე`` -V საფეხურის სტუდენტები გაივლიან პროფესიულ პრაქტიკას აფთიაქის ახალციხის ფილიალებში.
2. მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები შეიძლება განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.
3. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკებების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რომელიც შესრულებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.
5. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.
6. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
7. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

``psp აფთიაქი``

რექტორი
პროფესორი

დირექტორი

მერაბ ბერიძე

კახაბერ ფანჩულიძე

ბ. ა

ბ. ა

